პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1975
სამშაბათი
11
ნოემბერი
№ 264
(16390)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Сკკპ XXV ყრილობის უფასოდ

ყოველი დღე — დამკვრელური!

# მეევნახეთა და ყურძნის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

**გურჯაანი,** 10 ნოემბერი. (საქინფორმი). დღეს სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის კულტურის სახლში გაიმართა მევენახეთა და ყურძნის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება. აქ ჩამოვიდნენ საქართველოს მევენახეობის რაიონების სოფლის მშრომელები — სახელმოხვეჭილი მევენახეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სპეციალისტები, გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკები. აქვე არიან ქართველ მეჩაიეთა სახელოვანი არმიის წარმოგზავნილნი, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, მინისტრები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ჯ. პატიაშვილმა.**

შეკრების საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

მოხსენებებით: რესპუბლიკის მევენახეთა და ღვინის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა შრომითი შედეგები და მომავლის პერსპექტივები — გამოვიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ნ. ჭითანავა** და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი **რ. კონცელიძე.**

შეკრებაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **შ. ეცადაშვილი,** საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანი **ლ. აგრბა,** ახმეტის რაიონის მატნის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი **ჯ. ზუბაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი **გ. ბარძიმოვი,** საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ჩარქსელიანი,** მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ნ. ჩხარტიშვილი,** მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **მ. ორაგველიძე,** საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი **თ. ამედაძე,** სიღნაღის რაიონის ხირსის მეღვინეობის საწარმოთა გაერთიანების დირექტორი **ზ. სტურუა,** თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ზ. სარალიძე,** ვანის რაიონის სოფელ ბზვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შ. ხონელიძე,** ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი **გ. ყურაშვილი,** ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახე **მ. ლაშხი,** რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანერგე მეურნეობათა ტრესტის მმართველი **ნ. ჩხოლარია,** საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **პ. გილაშვილი,** მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **ი. დარბაიძე,** საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ქარუმიძე,** პოეტი **მ. მაჭავარიანი.**

შეკრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა მევენახისა და ყურძნის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებისადმი.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზ. პატარიძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. შარტავა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. გელდიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ო. ვარძელაშვილი.**

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

შეკრების დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება.

# კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

**ძვირფასო** ამხანაგებო და მეგობრებო!

გულითადად ვეულოცავ კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას და ყველა ქართველ ხალხს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს — დაარსების 30-ე წლისთავს.

კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება — კორეელ შრომელთა მასობრივი ორგანიზაცია მას შემდეგ შეიქმნა, რაც კორეა კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლდა გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურების შედეგად. თქვენი საზოგადოების დაარსების აქტით კორეელმა ხალხმა გამოხატა ერთსულოვანი მასწრაფება განუხრელად ავითარებდეს საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობას, რომელიც თავისუფლებისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის ერთობლივმა რევოლუციურმა ბრძოლამ წარმოშვა.

საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ ივიწყებენ, რომ კორეელი კომუნისტები და პატრიოტები თავიანთი სამშობლოს ძნელბედობის ჟამს — კოლონიური ჩაგვრის პერიოდში მხურვალედ მეესალმებოდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. ჩვენი ხალხების საბრძოლო მეგობრობა უცხოელ დამპყრობლებისგან კორეის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მტკიცდებოდა. კორეაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების გამარჯვების შემდეგ ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მტკიცე საფუძველზე ვითარდება.

განვლილი ოცდაათი წელი მთელი დამაჯერებლობით ცხადყოფს საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის ნაყოფიერ ხასიათს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კორეის შრომის პარტიას, სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარებული ძმური ურთიერთობა ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების წარმატებულ წინსვლას სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით.

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ ვიზიარებთ თქვენს სიამაყეს დიდი წარმატებების გამო, რომლებსაც სოციალისტურ შენებლობაში მიიღწიეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შრომელებმა თავიანთი ნაცადი ავანგარდის — კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით. საბჭოთა ადამიანები მუდამ კორეელი ხალხის მხარეზე არიან კორეის საშინაო საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის შეწყვეტისა და სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების მიღწევისათვის სამართლიან ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი დიდად აფასებს ორი ქვეყნის ხალხთა ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქმიანობას. ამ შეფასების გამოხატულებაა თქვენი საზოგადოების საბჭოური ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ გილოცავთ, ძვირფასო კორეელო მეგობრებო, ამ ჯილდოს და გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში.

დაე განუხრელად მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირ-კორეის ძმური მეგობრობა!

**ლ. ბრეჟნევი.**

## ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲒᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

**კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

**კორეის** სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებასა და განვითარებაში წარმატებული საქმიანობისათვის და დაარსების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით **კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება** დაჯილდოდეს **ხალხთა მეგობრობის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ნ. პოდგორნი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 10 ნოემბერი.

# საბჭოთა კავშირი მსარს უჭერს ახლო აღმოსავლეთის საკითხზე ჟენევის კონფერენციის მოწვევას

**სსრ** კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა 9 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰ. კისინჯერს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის შემდეგი მიმართვა ახლო აღმოსავლეთის საკითხზე ჟენევის კონფერენციის მუშაობის განახლების შესახებ:

„საბჭოთა კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუნუგეშადოს შემდეგი.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა კვლავ იწვევს საბჭოთა კავშირის შეშფოთებას. ამ კონფლიქტის ძირითადი მიზეზები დღემდე არ აღმოფხვრილა. ისრაელი კვლავ ფლობს დაპყრობილ არაბულ მიწებს. უგულებელყოფენ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებებს. ამის შედეგად ეითარება ამ რაიონში კვლავ საშიშად დაძაბულია.

გამოცდილება მოწმობს, რომ ნაწილობრივი ღონისძიებები საზოგადოებას, რომლებიც ამასთანავე სეპარატიულ საფუძველზე ხორციელდება, არ მიუყვანართ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტისაკენ. ამას არც შეუძლია მოჰყვეს ასეთი გადაწყვეტა, რადგან განზე რჩება მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგების მთავარი, საკვანძო საკითხები. ასეთებია ისრაელის ჯარების სრული გაყვანა 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების, მათ შორის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლების დაკმაყოფილება. მხოლოდ ამ საკითხების გადაწყვეტის დროს შეიძლება დამყარდეს სამდგომელად მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში და უზრუნველყოფილ იქნეს საიმედო პირობები ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს, მათ შორის ისრაელის სუფრთხო არსებობისა და განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის კარდინალური მოწესრიგების ერთადერთი უტყუარი გზაა ყველა უშუალოდ დაინტერესებული მხარის ერთობლივი, კოლექტიური მეცადინეობის გზა. კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ამ მიზნებისათვის შეიქმნა თავის დროზე საერთაშორისო ჟენევის კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხზე, რომლის თანათავმჯდომარეები არიან სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეს მექანიზმი უმოქმედოდ არის.

საბჭოთა კავშირი მუდამ იყო და არის ახლო აღმოსავლეთში მტკიცე, სამართლიანი მშვიდობის, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში ნამდვილი პროგრესის მომხრე. ამ მიზანს შეესაბამება ჟენევის საზავო კონფერენციის შუამაობის სრული მოცულობით განახლება. ამიტომ მას წინადადება შეაქვს, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც ახლო აღმოსავლეთის საკითხზე ჟენევის საზავო კონფერენციის თანათავმჯდომარეებმა, გამოიჩინონ ერთობლივი ინიციატივა ამ საქმეში. რა თქმა უნდა, ჟენევის კონფერენციის მისი მუშაობის განახლების დაყენებისთანავე თანაბარი უფლებით მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა უშუალოდ დაინტერესებულ მხარემ — ეგვიპტემ, სირიამ, იორდანიამ, პალესტინის არაბი ხალხის წარმომადგენლობა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სახით და ისრაელმა, — ავრეთვე სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც მისმა თანათავმჯდომარეებმა. სავსებით ცხადია, როგორც ეს თავიდანვე იყო განსაზღვრული, განახლებული კონფერენციის ამოცანა უნდა იყოს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ყოვლისმომცველი კარდინალური პოლიტიკური მოწესრიგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის გადაწყვეტილებათა, უწინარეს ყოვლისა, — უშიშროების საბჭოს 338-ე და გენერალური ასამბლეის 3236-ე რეზოლუციების საფუძველზე; კონფერენციის მუშაობა უნდა წარმართოს მისი ყველა მონაწილის შეთანხმების საფუძველზე“.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკაში მიწების რეკულტივაციის სამუშაოთა მდგომარეობის საკითხი

**მიწიდან** დადგენილებაში აღნიშნულია: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ ზოგიერთი სამინისტროსა და უწყებას სასარგებლო წ





ილიანელის ღია წესით მოპოვებისათვის გამოყოფილ მიწებზე რეკულტივაციისა და წინანდელ მიწათმოსარგებლეთათვის ვ ი ს თანრუნების მიზნით გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ ბრის სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებები.

ზოგიერთი სამინისტრო. უწყება და საწარმო-დაწესებულება არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 ივლისის № 416 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესასრულებლად.

1947 წლიდან 1975 წლის 1 იანვრამდე სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების მიზნით საწარმო-დაწესებულებებისაგან გამოყოფილია 5,4 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. აქედან 3,4 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. აქედან მიწათმოსარგებლეებს დაუბრუნდათ მხოლოდ 646 ჰექტარი. არსებული მონაცემებით. სარეკულტივაციო სამუშაოები ჩასატარებელია 1.100 ჰექტარამდე გამომუშავებულ მიწებზე, რომლებიც წლების მანძილზე მიგდებული და გამოთიშულია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან.

საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კარიერებისათვის გამოყოფილი აქვს 1.330 ჰექტარი მიწის ფართობი. აქედან დამუშავებულია 499 ჰექტარი. რეკულტივაცია შესრულებულია 119 ჰექტარზე, 380 ჰექტარი კი მიტოვებულია და საჭიროებს რეკულტივაციას. ბითურის მანგანუმის ტრესტს 644 ჰექტარიდან დამუშავებული აქვს 608 ჰექტარი. რეკულტივაცია შესრულებულია 279 ჰექტარზე. მშენებლობის სამინისტროს 524 ჰექტარიდან დამუშავებული აქვს 296 ჰექტარი, ხოლო რეკულტივირებულია 116 ჰექტარი, 180 ჰექტარი მიგდებულია; საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 307 ჰექტარიდან დამუშავებული აქვს 263 ჰექტარი, რეკულტივაცია შესრულებული აქვს 98 ჰექტარზე, 170 ჰექტარი კი დატოვებულია რეკულტივაციის გარეშე. ასევე სარეკულტივაციო მიწის ფართობები აქვთ: ტრესტ „საქნავთობს“, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ტრესტ „საქსამთოქიმრეწს“, საავტომობილო გზების სამინისტროს და სხვებს.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ლანჩხუთის საშენ მასალათა კომბინატს (დირექტორი ამხ. გ. ცინცაძე) დღემდე არ ჩაუტარებია მიწების რეკულტივაციის სამუშაოები წინა წლებში გამოშვებულ 43 ჰექტარ ფართობზე. ეს მიწები ჯერ არ დაუბრუნებიათ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატს (დირექტორი გ. მჭავანაძე) რაიონის კოლმეურნეობებისათვის უნდა დაებრუნებინა გამომუშავებული 20 ჰექტარი, მაგრამ ამ ფართობზე რეკულტივაციის სამუშაოები ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ათ წელზე მეტია მიატოვა საგურე თიხის მოპოვებისას გამომუშავებული 9,17 ჰექტარი ფართობი, რომელიც ამ ხნის მანძილზე დაჭაობდა და მის რეკულტივაციაზე აღარავინ ზრუნავს.

შემოწმებული რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიწებზე რეკულტივაციის სამუშაოები შესრულებული სამუშაოები მიღება-ჩაბარების აქტში დამაკმაყოფილებლადაა შეფასებული.

მიწების რეკულტივაციის უხარისხოდ შესრულებული სამუშაო „საქსოფლტექნიკის“ ცხაკაიას რაონული განყოფილების წარმომადგენელმა ხ. ჯანჯღავამ ჩაბარა ცხაკაიას საშენ მასალათა კომბინატს და მისმა დირექტორმა ვ. ჩიქოვანმა დამაკმაყოფილებელი შეფასებით მიიღო.

დადგენილია საკოლმეურნეო და სახელმწიფო მიწების თვითნებურად დაკავების ფაქტებიც. წითელწყაროს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი (დირექტორი ამხ. გ. ბეგიაშვილი) 1966 წლიდან უკანონოდ აშენავებს სოფელ ოზაანის კოლმეურნეობის 8,3 ჰექტარ სახნავ მიწას, ხოლო 1970 წლიდან თვითნებურად იყენებს სოფელ თვითნებურად ოყენებს სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის 7 ჰექტარ სძოვარს.

ზუგდიდის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს (ვ. ზარქუა) სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ტერიტორიაზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების გარეშე მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე 1960 წლიდან აქვს მოწყობილი რკინა-ბეტონის ნაკეთობათა პოლიგონი და ხრეშის დამზარისხებელი დანადგარი, რომელსაც 3,15 ჰექტარი რიყე უკავია, ინერტული მასალების მოპოვებას კი აწარმოებს ვრცელ ტერიტორიაზე მდინარე ენგურის კალაპოტში.

ამავე საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის კოლმეურნეობა „ურთის“ ტერიტორიაზე 1958 წლიდან ნებადაურთველად უკავია 3,22 ჰექტარი კირქვის კარიერი საკვედლე ბლოკების, კირისა და ფლეთილი ქვის საწარმოებლად.

ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროსამმართველო (დირექტორი ა. თვარაძე) მეგრელის კარიერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების გარეშე ეწევა წიაღისეულის ღია წესით მოპოვებას. ამავე ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთასამმართველო მ (დირექტორი ს. ქვარაცხელია) ასევე მთავრობის დადგენილების გარეშე დაიწყო ერთ-ერთ უბანში წიაღისეულის ღია წესით მოპოვება.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცხაკაიის რაიონის ნოსირის ავერის ქარხანა (დირექტორი ე. ჩიქოვანი) დაქვემდებარებულ კირქვის კარიერზე ათ წელზე მეტია აწარმოებს კირის გამოწვას, მაშინ, როდესაც ამ საწარმოსათვის მიწის გამოყოფაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება არ არსებობს.

არის შემთხვევები, როდესაც გამოყოფილი მიწების დიდი ნაწილი წლების განმავლობაში აუთვისებელი და გამოუყენებელია.

მაგალითად, საქართველოს სსრ შენებლობის სამინისტროს გაერთიანება „მთავარიანი ბილსშენის“ ბაჯის ქარხანა 1968 წლიდან არ იყენებს სართიჭალისა და გამარჯვების საბჭოთა მეურნეობების მიწებიდან გამოყოფილ 12 ჰექტარს, ხოლო საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გურჯაანის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია ამავე რაიონის ელისტეხისა და ვაზისუბნის კოლმეურნეობებიდან გამოყოფილ 5 ჰექტარს.

მიწების რეკულტივაციის საქმეში გამოვლენილი სერიოზული ნაკლოვანებანი და ჩამორჩენა იმის შედეგია რომ სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებმა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების, აღმასკომების, მათი სოფლის მეურნეობის სამმართველოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები სრ ახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებათა შესასრულებლად, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურად გამოყენებასა და ამ საქმეში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას ეხება.

(დასასრული მე-2 გვ.).

# თბილისში ჩამოვიდნენ

## ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის სხდომის მონაწილენი

**ეკონომიკური** ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის 45-ე სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად 10 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდნენ საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — საგარეო ვაჭრობის მინისტრის **ი. ნედოვის** მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — საგარეო ვაჭრობის მინისტრის **ხ. ზიოლეს** მეთაურობით, კუბის რესპუბლიკისა — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის **ხ. ამადო ბლანკოს** მეთაურობით, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — საგარეო ვაჭრობის მინისტრის **ე. ოჩირის** მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — საგარეო ვაჭრობისა და საზღვაო მეურნეობის მინისტრის **ე. ოლშევსკის** მეთაურობით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური კოოპერირების მინისტრის მოადგილის **ი. სტოიანის** მეთაურობით, საბჭოთა კავშირისა — საგარეო ვაჭრობის მინისტრის **ნ. ს. პატოლიჩევის** მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის **ე. ტორდაის** მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — საგარეო ვაჭრობის მინისტრის **ა. ბარჩაკის** მეთაურობით, ავრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საგარეო ვაჭრობის საკავშირო სამდივნოს პირველი მდივანი **დ. ბოიკოვსკი.**

ეკონომიმზე დელეგაციის წევრებს დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. სირაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი **შ. კიკნაძე,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე **ლ. ი. ზორინი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე **ნ. კიკვაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგემო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე **შ. ბერიანაძე,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმენებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში **რ. ელიგულაშვილი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. ლობჟანიძე.**

(საქინფორმი).

**სურათზე:** სამგორის № 22 ჭაბურღილის მოწინავე მენავთობეები (მარცხნიდან) ცვლის უფროსი, მბურღავი ა. გალუსტოვი, მბურღავის თანაშემწე ა. გელაშვილი, ელექტროშეინკალი ი. ძინძიკაშვილი „მბურღავის თანაშემწეები ნ. პატარაია და პ. ბეკმამედაშვილი.

მ. დათიკაშვილის და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ

**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ** მენავთობეებმა დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს — ვადამდე შესრულდა ნავთობის მოპოვებისა და მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა: თუ მეცხრე ხუთწლედის დამდეგს რესპუბლიკაში ნავთობის საშუალო სადღეღამისო მოპოვება 55 ტონას შეადგენდა, ახლა იგი 1200-ტონამდე გაიზარდა. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალურ დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს რევაზ ნიკოლოზის-ძე თევზაძეს განემარტა ეს მოვლენები.

— ᲬᲚᲘᲣᲠᲘ გეგმის ვადამდე შესრულების გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის მთავრობამ მხურვალედ მიულოცეს საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“, ტრესტ „საქნავთობგეოფიზიკის“ კოლექტივებს, საქართველოს ყველა მენავთობეს. ეს მისალმება ასალი გამარჯვებებისათვის აღგვაფრთოვანებს. სკკპ XXV ყრილობის ბანსნის დღისათვის გადაწყვეტილია, კერძოდ, ნავთობის საშუალო სადღეღამისო მოპოვება ორი ათას ტონამდე გაზარ-

(დასასრული მე-2 გვ.).

# ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა რ. არისმენდის

**6 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს რ. არისმენდის. საუბრის დროს, რომელშიც გულითადობის სულისკვეთებით ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ურუგვაის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ბრძოლა რეპრესიებს ურუგვაელი კომუნისტებისა და ყველა დემოკრატის წინააღმდეგ და გამოთქვამენ რწმენას, რომ ურუგვაელი ხალხი მიაღწევს თავისუფლებას, დემოკრატიასა და სოციალურ პროგრესს. რ. არისმენდიმ მაღლობა გადაუხადა ლ. ი. ბრეჟნევს, საბჭოთა კავშირის კომუნისტებსა და ხალხს ურუგვაელ პატრიოტებთან სოლიდარობისა და ამ ქვეყნის ხალხისადმი მეგობრული გრძნობებისათვის.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

# ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ხ. არნეიდო ალვარესს

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა არგენტინის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ხ. არნეიდო ალვარესს, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ორი პარტიის ურთიერთობის განვითარების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საკითხებზე. ხაზგასმით აღინიშნა მისწრაფება, რომ კვლავაც ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არგენტინის კომუნისტური პარტიის, არგენტინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა.

კმაყოფილებით აღინიშნა აზრთა სრული ერთიანობა საუბრის დროს განხილულ ყველა საკითხში.

შეხვედრამ ჩაიარა გულთბილ ამხანაგურ ვითარებაში, მჭიდრო მეგობრობის სულისკვეთებით, რომელიც ახასიათებს ორი პარტიის ურთიერთობას.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ—ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ

# ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲐ

Ⓜ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

საბჭოთა ხალხი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით მიდის წინ თავისი ნათელი მომავლის — კომუნიზმის გზით. საბჭოთა ხალხის შრომით სსრ კავშირში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მუშათა კლასის წამყვანი როლის პირობებში საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების დაკავშირებაში, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასა და გაღრმავებაში. კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა საიმედო გარანტიაა სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის რეალიზაცია.

ამ პროგრესში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა სახელმწიფო, რომლის საერთო-სახალხო ხასიათი სულ უფრო ვითარდება. საბჭოთა სახელმწიფოებრივობა ხანგრძლივად გამოსატავს ჩვენი წყობილების დემოკრატიზმს: ხალხის მასები, უწინარეს ყოვლისა, წარმომადგენლობითი ორგანოების სისტემის — მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საშუალებით დღენიადაგ და ყველგან, ამასთან გადამწყვეტად, მონაწილეობენ სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებაში, ორგანიზებულად არიან ჩაბმული სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანების რეალიზაციაში.

განვითარებული სოციალიზმი ასახავს ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური უპირატესობების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და ჩვენების მთელი ცხოვრების ორგანიზაციის დემოკრატიული საწყისების ორგანულ შეწყობას. ასეთ საფუძველზე ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიური პროგრამა, წარმატებით სრულდება მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საგეგმო დავალებები, დამატებით ვალდებულებები, რომლებიც იკისრეს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა, ათასობით შრომითმა კოლექტივმა, მათ შორის მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მთელი რიგი რესპუბლიკებისა და ოლქების მრეწველობის მუშაკებმა ბევრი უწინაწინველოვანესი მაჩვენებლით დაამთავრეს ხუთწლედი, აქედანვე მკაიცე საფუძველი შეექმნა მომავალი მეათე ხუთწლედის წარმატებით დაწყებას.

სრულად განვითარდა ჩვენი ხალხის საბჭოთა შრომითი ტრადიციები — სოციალისტური შეჯიბრება, კომუნისტური შაბათობები, დამკვრელური მშენებლობები, სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა დემოკრატიზმის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა, მასში ვლინდება თავისუფალ ადამიანთა შემოქმედებითი დამოუკიდებლობა და ორგანიზებული შრომა, მათი შენებული მონაწილეობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში. 40 წლის წინათ ალეკსი სტახანოვის თაოსნობას გამოეხმაურა ქალაქისა და სოფლის ათასობით მშრომელი. დღეს დიდი ოქტომბრის 58-ე წლისთავზე, ეგებებიან რა პარტიის XXV ყრილობას, შრომითი გმირობის მაგალითს უკვე მილიონობით ადამიანი გვიჩვენებს. არსებული ენთუზიაზმი ასასიათებს კომუნისტურ შაბათობებს. ათეულობილიონობით ადამიანი — ქალაქისა და სოფლის მშრომელები, მუშები და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა თანამშრომლები, შემოქმედებითი პროფესიების წარმომადგენლები და დაახალოსები, შრომის ვეტერანები და ახალგაზრდობა — ასეთ დღეებში ერთიანდებიან მონოლითურ კოლექტივად, რომელსაც აკავშირებს და შთაგონებს კომუნისტური შრომის იდეები. 200 მილიონ მანეთზე მეტი, რომლებიც მიღებულია 1975 წლის 19 აპრილის საკავშირო კომუნისტური შაბათობის შედეგად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის გადაწყვეტილებით უნდა მოხმარდეს ყველაზე აუმჯობესებულ — სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, საშობაო სახლების, საავადმყოფოების მშენებლობას.

პარტია და სახელმწიფო ჯეროვნად აფასებენ საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა მორალური წახალისების ღონისძიებათა ეფექტიანი სისტემა, მათ შორის დაჯილდოების საბჭოთა სისტემა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა. მეცხრე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა ათასზე მეტ მშრომელს, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოირჩინეს თავი, ხოლო ასიათასობით ადამიანი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. დაწესდა შრომითი დიდების ორდენი და მედალი „შრომის ვეტერანი“, რომელებიც აგრეთვე მიიღო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის ასიათასობით მოწინავემ.

ᲛᲘᲜᲐᲛᲔᲓᲠᲕᲔ პერიოდში სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ სრულყოფა. თანამშედეგრულად ხორციელდება სკკპ პროგრამით, პარტიის XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებებით გასახაზერული კურსი — სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის, ხალხის წარმომადგენლობის ფორმების სრულყოფისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლების; საბჭოების შემადგენლობის სისტემატური განახლების, ამომჩეველთა წინაშე დეპუტატების ანგარიშების გაძლიერების; სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობისადმი წარმომადგენლობითი ორგანოების კონტროლის გაფართოების; სახელმწიფო აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების კურსი.

საბჭოები — ᲞᲘᲛᲐᲠᲘᲢᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ხელისუფლების ორგანოების — სტრუქტურაში სრულად აისახება ქვეყნის სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული შემადგენლობა, ახლა საბჭოებში 2,2 მილიონზე მეტი დეპუტატია, აქედან თითქმის 900 ათასი მუშა, 600 ათასზე მეტი კოლმეურნე, 245 ათასი მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკი, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ათიათასობით სხვა სპეციალისტი. საბჭოებში არჩეულია 100-ზე მეტი ეროვნების დეპუტატები. წლევანდელი წელიწადი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით გამოცხადებულია ქალის საერთაშორისო წლად. განსაკუთრებით სასიხარულოა აღინიშნოს საბჭოთა ქალების როლი სახელმწიფოს მართვაში: საბჭოების დეპუტატთა თითქმის ნახევარს ჩვენი სახელოვანი ქალები შეადგენენ. საბჭოების დიდ ავტორიტეტსა და რეალურ ძალას, მათს უდიდეს შესაძლებლობებს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ორგანიზაციაში საფუძვლად უდევს საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, საბჭოების განუყოფელი კავშირი ხალხის უფართოეს მასებთან. თავიანთი დეპუტატების, მუდმივი კომისიების, ადმინისტრაციული ორგანოების საშუალებით საბჭოები მჭიდროდ დაკავშირებული არიან მოსახლეობასთან, რომელმაც ისინი აირჩია: საბჭოების გარშემო ყოველთვის მოქმედებს მრავალმილიონიანი აქტივი. პრაქტიკულად ხორციელდება ლენინის ფორმულა — „საბჭოებით გაერთიანებული ხალხი, — აი ვინ უნდა მართავდეს სახელმწიფოს“.

გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ ბოლო წლებში პარტიამ მიიღო საბჭოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე, საკანონმდებლო წესით აისახა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებში სასოფლო, სადაბო, რაიონული, საქალაქო საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის კანონებში. სსრ კავშირის მთავრობის, რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად მტკიცდება სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ბიუჯეტი-ფინანსური ბაზა. საბჭოების მუშაობის სრულყოფაში — მათი ადგილობრივი პირობებიდან ზომადნირავ ამოცანების გათვალისწინებით — დიდი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკური და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო კანონი „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“. ამ კანონის მოქმედების შედეგები თავს იჩენს იმით, რომ გაიქტიურდა დეპუტატთა მუშაობა, ხალხის რჩეულნი უფრო ინიციატივიანად და შემოქმედებითად ეკიდებიან თავიანთი ამოცანების შესრულებას საბჭოსა და მის ორგანოებში, საარჩევნო ოლქში.

ამის შედეგად საბჭოების მუშაობა ახალ საფეხურზე ავიდა, გაიზარდა მათი გავლენა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე, სულ უფრო მაღლდება მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების დონე. ამის გამოვლინებაა ადგილობრივი და უმაღლესი საბჭოების საგეგმო-საბიუჯეტო მუშაობის გაუმჯობესება, მუდმივ კომისიებში და სესიებზე გეგმისა და ბიუჯეტის მაჩვენებელთა ყოველმხრივი ანალიზი, როგორც საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორიის, ისევე მეურნეობის ცალკეული დარგების, კონკრეტულ სამინისტროთა და უწყებათა, ადგილობრივ სამეურნეო ორგანიზაციათა მასშტაბით, განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის პრობლემებისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების მუშაობის დამახასიათებელი ნიშანი გახდა ის, რომ სესიებზე წყვეტენ მეურნეობის კონკრეტული დარგების განვითარების, კულტურის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, ჯანმრთელობის დაცვის, ბარიმის დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უფრო ფართო წრის საკვანძო პრობლემებს.

ამ პროცესის გამოვლინება ისიც არის, რომ სსრ კავშირისა და რესპუბლიკების სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლეს ორგანოებს ეკისრებათ საელმწიფო მართვის ორგანოებისადმი კონტროლის ფუნქცია. ამ ბოლო წლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკაში დამკვიდრდა ტენდენცია: სესიაზე მნიშვნელოვანი კანონმოქმედების განხილვასთან ერთად ისმენენ აგრეთვე მთავრობის მოსსენებას ამა თუ იმ დარგის სამეურნეო საქმიანობის შესახებ. მაგალითად, 1975 წლის ივლისში, ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენების მიხედვით ერთდროულად განიხილა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი და ნაღის დაცვის შემდგომი გაძლიერებისა და სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესმა საბჭოებმა განიხილეს რესპუბლიკური მთავრობების მოხსენებები, თუ როგორ სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. ანგარიშები მინისტრთა საბჭოების მუშაობის შესახებ მოისმინეს დაღესტნის, ყაბარდო-მალყარეთის, კარელიის, კომის, მარეთისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების სესიებზე. პრაქტიკულად საქმე ეხება სახელმწიფო მართვის მთელი აპარატის საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერებას.

უმაღლესი საბჭოების მუდმივ კომისიათა საქმიანობაში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა საკონტროლო ფუნქციების განხორციელებას. 1971 წლის იანვრიდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში გაიმართა პალატებს მუდმივ კომისიათა ორმოცდაათზე მეტი სხდომა, რომელებიც სპეციალურად მიეძღვნა სამინისტროთა და უწყებათა მოხსენებებს მათი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის საკითხებს. რუსეთის ფედერაციაში წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუმდივმა კომისიებმა მოისმინეს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა 88 მოხსენება, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების 50 მოხსენება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ მიგვითითებს, რომ მეათე ხუთწლედის საკანონო საკითხებია მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის პრობლემები. ამ დროს კი ზოჯერ სამმართველო საქმიანობის ეფექტიანობა ჯეროვან დონეზე ვერ არის. საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი, მათი განყოფილებები და სამმართველოები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ წარმართავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს; ბოლომდე ვერ ასრულებენ მათ და ზოგჯერ თხზავენ ახალ გადაწყვეტილებებს, რომლებიც, არსებითად, წინა გადაწყვეტილებათა განმეორებაა. იღებენ ხოლმე აგრეთვე ბუნდოვან გადაწყვეტილებებს, რომლებშიც საკითხები დასმულია „ზოგადი“ ფორმით. ბუნებრივია, რომ ასეთ გადაწყვეტილებებს ვერ მოჰყვება კონკრეტული ორგანიზატორული მუშაობა.

ჩვენი სამმართველო აპარატისათვის დამახასიათებელია მკაფიო და აწყობილი მუშაობა, მომენტის ძირითად ამოცანებზე ყურადღებისა და ღონისძიებების კონცენტრაციის უნარი. მოთუმტეს, შეუმჩნეველი არ უნდა რჩებოდეს მმართველობის ცალკეულ რგოლებში არსებული უყაირათობისა და ფორმალიზმის გამოვლინებები, ბიუროკრატიზმისა და ადამიანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი ჩინოვნიკური დამოკიდებულების შემთხვევები. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის უმაღლესი ორგანოები ჯერ კიდევ დიდძალ საჩივრებს იღებენ. ამ დროს კი ხშირად მოქალაქეთა საჩივრებს წყვეტენ და აკმაყოფილებენ იქვე, სადაც ისინი წარმოიშვა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოქალაქეები მიმართავენ ცენტრალურ ორგანოებს... ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების აუცილებელი და დიდმნიშვნელოვანი მოვალეობაა განუხრელად იცავდნენ კანონმდებლობას მშრომელთა მოთხოვნებისა და საჭიროებებისადმი ყურადღებიანი და მოკიდებულების შესახებ, მათი საჩივრების, განცხადებებისა და წინადადებების მკაფიოდ და სწრაფად გადაწყვეტის შესახებ.

თანამეგზურთა პირობებში წარმოიშვა ობიექტური საჭიროება, რომ ხელმძღვანელი კომპეტენტური იყოს, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ და დინამიკურ პირობებში შეეძლოს ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მიღება. საბჭოთა კადრები დღეს კარგად უნდა ეჩვეოდნენ ეკონომიკის და ეკოლოგიის, ქალაქმშენებლობისა და სოციალური პროგნოზირებისა, კეთილმოწყობისა და რაიონული დაგეგმარების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მიმოსვლის საკითხებში, ჩვენი დროის ბევრ სხვა საარსებოდ დიდმნიშვნელოვან პრობლემებში.

საბჭოთა მუშაკების იდეურ-თეორიული დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას ახლა დიდი ყურადღება ეთმობა. რაიონული, საქალაქო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა დიდ უმრავლესობას აქვს უმაღლესი განათლება. საბჭოების აღმასკომების ათასობით ხელმძღვანელმა გაიარა გადამზადება მოსკოვისა და ადგილობრივ მუდმივმოქმედ კურსებზე. მაგრამ სახელმწიფო მართვის სულ უფრო რთული მიმდინარე ამოცანები ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებენ კადრებს და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ხელმძღვანელობის ეფექტიანობას ვერ უზრუნველყოფთ, თუ სწორ ყოველდღიურ კონტაქტს არ დავამყარებთ ადამიანებთან, სწორად ვერ შეაფასებთ ერთმანეთს მომხმარებლობას, დისციპლინას და მათი ინდივიდუალური აზრისა და სურვილების, ნიჭისა და გამოცდილების, დაინტერესებისა ხასიათისა და იმ ვითარების გათვალისწინებას, რომელშიც ისინი შრომობენ. წარმატებულ მუშაობას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს კოლექტივში შექმნილი მორალური კლიმატი, ადამიანისადმი კეთილმოსურნეობის, პატივისცემის ატმოსფერო. ასეთი ვითარების შექმნა და შენარჩუნება თანამედროვე ხელმძღვანელის ერთ-ერთი ამოცანაა. იმუშაოს მაღალხარისხოვნად, მთელი ძალ-ღონის დაძაბვით — ასეთ მოთხოვნას უყენებს პარტია სახელმწიფო აპარატს.

ᲩᲕᲔᲜᲡ დროში, როცა წარმოება უდიდესი მასშტაბით გაიზარდა, ხოლო ცალკეულ სამეურნეო-საწარმოო ამოცანათა გადაწყვეტაში მონაწილეობს ადამიანთა სულ უფრო დიდი მასები, როცა მათი საქმიანობა სულ უფრო ღრმად იჭრება ბუნებრივ გარემოში, საზოგადოების ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება სამართლის მნიშვნელობა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგულირების როლი. კანონები კონცენტრირებული ფორმით გამოსატავენ ხალხის ნებას, პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. დღეს განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ კანონი პოლიტიკური ზომაა, პოლიტიკაა.

კეკლავაც აქტიურად ვითარდება სსრ კავშირისა და რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების საქმიანობა საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფისათვის. დამახასიათებელია, რომ საკანონმდებლო რეგულირება სულ უფრო ფართოდ მოიცავს და უფრო ღრმად იჭრება სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობის ისეთ სფეროებში, სადაც წინათ ურთიერთობის რეგულირება ხდებოდა ქვეკანონური აქტებით, უწყებრივი ინსტრუქციებით. ჩვენი კანონები ყოველნაირად უწყობენ ხელს ორგანიზაციულობის ამაღლებასა და დისციპლინის განმტკიცებას, განაგრძობენ პრინციპულ ხაზს, რომლის მიზანია მოქალაქის უფლებების გაფართოება და გამდიდრება, მათი რეალური გარანტიების განმტკიცება.

უმჯობესდება საბჭოთა საკანონმდებლო პროცესის დემოკრატიული საწყისები. დიდმნიშვნელოვანი კანონპროექტები ქვეყნდება პრესაში, მათ ფართოდ განიხილავს საზოგადოებრიობა, წინასწარ იგზავნება რესპუბლიკებში, სახელმწიფო მართვის ორგანოებში. მათს მოპზადებაში მონაწილეობენ მეცნიერები, სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ გავლილ წლებში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და მისმა პრეზიდიუმმა მიიღეს სამოცდაათზე მეტი საკანონმდებლო აქტი ქვეყნის სამეურნეო, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე. საბჭოთა კანონები ასახავენ პარტიის კეთილშობილურ მიზნებს ადამიანთა ცხოვრების ყოველმხრივ გაუჯობესებაში, ისინი უაღრესად დემოკრატიული და ჰუმანურია. ამას მოწმობს, მაგალითად, ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეთა გადასახადების გაუქმება თუ შემცირება მათი ხელფასის დონის მიხედვით, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის დასმარების შემოღება, საპენსიო ასაკის შემცირება, ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეების პენსიებს მომატება და საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, თუ რა სოციალური მნიშვნელობა აქვს ამ ბოლო დროს მიღებულ ისეთ საკანონმდებლო აქტებს, როგორიცაა მიწის კანონმდებლობისა და წყლის კანონმდებლობის საფუძვლები, რომლებიც შემდეგ დაკონკრეტდა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის კოდექსებში. სავსებით ცხადია, თუ რა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისინი ჩვენი დროის უმწვავესი პრობლემის — გარემოს დაცვის უსაზღვროდ ფაფუალ, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების — გადაჭრაში. ასევე დიდმნიშვნელოვანია ამას წინათ მიღებული ჯანმრთელობის საფუძვლები, რომლებიც გამოხატავს პარტიისა და სახელმწიფოს ფიდ ზრუნვას ადამიანთა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

უახლოეს დროში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო განიხილავს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს. ამისათვის მზადება ახლა აქტიურად მიმდინარეობს მთავრობაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიებში, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში. მთავრდება მეათე რიგი მნიშვნელოვანი საერთო-საკავშირო კანონების შემუშავება, როგორიცაა კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ, ტყის კანონმდებლობის საფუძვლები, ადმინისტრაციული პასუხისგებლობის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები. უახლოეს პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა სამეურნეო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს — როგორც ცნობილია სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საბჭოები, მათი ორგანოები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დღეიადგ ზრუნავდნენ იმის უზრუნველყოფისათვის, რომ ყველა საელმწიფო ორგანო, თანამდებობის პირი და მოქალაქე განუხრელად და ზუსტად ასრულებდნენ კანონებს. აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი: საბჭოთა დღენიადგ ვიმუშაოთ სამართლებრივი აღზრდისა და შეგნების, სამართლის პატივისცემის დონის ამაღლებისათვის. დანაშაულებრივ გამოვლინებებთა თავიდან აცილების საქმეში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ ადგილობრივი საბჭოები: მათზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოსახლეობის თავისუფალი დროს კარგი ორგანიზაცია, სახალხო განათლების, კულტურის ფაფუალებების, სპორტული ორგანიზაციების ნორმალური საქმიანობა.

ჩვენი ქვეყანა ეშზადება ისტორიული მოვლენისათვის — სკკპ XXV ყრილობისათვის. სოციალისტური დემოკრატიის განუწყვეტელი განვითარება და სრულყოფა, საზოგადოების ცხოვრებაში საბჭოების როლის ყოვლმხრივი ამაღლება იმის ნაყოფიერი შედეგია, რომ კომუნისტური პარტია დიდი ზრუნვითა და ყურადღებით ეკიდება ქვეყნის მართვაში ფართო მასების ჭეშმარიტად გადამწყვეტ მონაწილეობის უზრუნველყოფის საქმეს. „რაც უფრო მომწიფებული ხდება ჩვენი სოციალისტური საზოგადოება, — აღნიშნავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, — რაც უფრო წინ იწევს თავისი განვითარების უმაღლესი სტადიის — კომუნიზმის გზით, მით უფრო მაღალია ჩვენი მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და მთელი ხალხის საზოგადოებრივი აქტივობა, მით უფრო ფართოდ და ღრმად მონაწილეობენ შრომელები სახელმწიფოს საქმეთა მართვაში. ეს არის ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი კანონი“.

განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების დემოკრატიზმი, შრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმშენებლობითი საქმიანობა ყოველთვის ემსახურებოდა ხალხის ინტერესებს, კომუნისტური პარტიის გეგმების შესრულებას. ასეთსავე სრულ გამსახურეს გაუწევენ ისინი იმ ჯრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელებას, რომელებსაც განსაზღვრავს სკკპ მომავალი XXV ყრილობა.

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ“.

## ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

**10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ** საბჭოთა კავშირში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი ვალტერ შეელი მეუღლითურთ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს დახვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომიდან ნ. ვ. პოდგორნი და ვ. შეელი, ა. ა. გრომიკო და ჰ. დ. გენშერი მოტოციკლისტთა სპატიო ესკორტით ავტომანქანებით გეგმაზავრნენ კრემლის სასტუმრო რეზიდენციაში, გზად დედაქალაქის ქუჩები და მოედნები მორთული იყო ორი ქვეყნის სახელმწიფო ალმებითა და ტრანსპარანტებით.

(საკდისი).

□

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲦᲦᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

**ᲕᲝᲗᲐ** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა საზეიმო კრება, რომელიც საბჭოთა მილიციის დღეს მიეძღვნა.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გ. გაბუნიამ.

„ტაშის გრიალში სამპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მილიციის მუშაკებს მიესალმნენ პარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი რ. გოგლიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი პ. ივანჩიშინი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი მ. ლომიძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, თბილისგვირაბმშენის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. კოკოლაშვილი, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ პარტკომის მდივანი, რესპუბლიკაში მართლწესრიგის საუკეთესო საყრდენი პუნქტის ხელმძღვანელი ო. თოლორაია.

კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. მენთეშაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. რიგვავა, თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ყვანია.

დასასრულ გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (საქინფორმი).

## ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

**ᲒᲔᲓᲒᲘᲗ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲡᲗᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ**

**ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ** წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“:

1. ადამია ფრიდონი ნესტორის-ძე — მილიციის პოლკოვნიკი
2. ანთია ბაგი ნესტორის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
3. ბერიძე ხუსეინ ალის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
4. გაგაშელიშვილი ლავრენტი არჩილის-ძე — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
5. გვინცაძე რომანი ლეოს-ძე — მილიციის ლეიტენანტი
6. გიგაური გივი დარჩოს-ძე — მილიციის კაპიტანი
7. თამასიძე მიხეილი არჩილის-ძე — თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ინსპექტორი
8. იაშვილი ნოდარი ნიკოლოზის-ძე — რიგითი მილიციელი
9. კაკაძე ანტიფო ტირონის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
10. კვირტია ნუგზარი მუხრანის-ძე — რიგითი მილიციელი
11. კოპაძე შალვა დავითის-ძე — მილიციის მაიორი
12. ლეიბა კონსტანტინე კვიჩოს-ძე — მილიციის უმდეგი
13. მგალობლიშვილი ნუგზარი მიხეილის-ძე — მილიციის უმცროსი ლეიტენანტი
14. ნაცვლიშვილი დავითი ალექსანდრეს-ძე — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
15. რაგიმოვი კიასმი აბდურახმანის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
16. ქუთათელაძე ვარდენი ვასილის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
17. შათირიშვილი გიორგი ვასილის-ძე — მილიციის უმცროსი სერჟანტი
18. ჩუბინიძე ქიშვარდ იოანეს-ძე — მილიციის ზემდგომი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭ

## სახელმწიფო პრემიის ახალი ლაურეატები

# ტექნიკური პროგრესის პიონერები

...დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავის დღესასწაულის წინ ტექნიკური პროგრესის პიონერთა — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა რაზმს შეემატნენ მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების მთავარ დარგებში ნაშრომების ავტორები.

ოქტომბრის ნაშრომებით აღინიშნა აგრეთვე მოსკოველი მეცნიერების — ა. ა. კაპლიანსკის, ს. ნ. მედვედევისა და ბ. პ. ფეოფილოვის ნაშრომები, რომლებიც შექმნეს კრისტალების რთული მინაოვანი ცენტრებისა და ელექტრების ახალი ოპტიკური მეთოდები, და აკადემიკოს ს. ვ. ლებედევის ორი მონოგრაფია ელექტრონიკაში.

ალგებრულ განტოლებათა სპეციალურ თეორიაში დიდი წვლილი შეიტანა თვალსაჩინო სპეციალისტი მათემატიკოსმა ს. ა. სტეპანოვმა, რომლის ნაშრომებს ფლობს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ასეთივე ორიგინალური გადაწყვეტებით აღინიშნა მეცნიერთა ოლექტივის შრომა, რომელმაც შექმნეს წერტილოვანი აფეთქების თეორია. ავტორებმა მეცნიერულ საფუძველზე აიგეს ახალი თეორია, ამასთან განიხილეს მისი გამოყენებაც კოსმიურული ფიზიკური პრობლემებისადმი.

ქიმიის დარგში წლის უდიდეს ნაშრომად აღიარებულია გამოკვლევები სეგნეტოელექტრიკების კრისტალოგრაფიასა და კრისტალოქიმიაში, რომლებიც განახორციელა მეცნიერთა კოლექტივმა ი. ნ. ვენევცევის, ი. ს. ჟელუდევისა და სხვა ავტორთა შემადგენლობით. მათ შექმნეს მთელი რიგი ახალი მასალები (დაახლოებით 180), რომლებსაც აქვთ ახალი ტექნიკისათვის აუცილებელი თვისებები. შეიმუშავეს სამრეწველო მასშტაბით ამ მასალების მიღების მეთოდიკა.

ბიოლოგიის მეცნიერებას ორიგინალური კვლევა შემატა სპეციალისტთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში არიან დ. ს. კორჟინსკი, ვ. ა. ეარიკოვი და სხვები. მათ ახალი სიტყვა თქვეს მადაწყარამქმნის თეორიაში — შეიმუშავეს მინერალების ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ორიგინალური მეთოდები, რომლებიც ქანებისა და მინერალების საბადოების წარმოქმნის პირობების თვისებრივად ახალი შეფასების შესაძლებლობას იძლევიან.

ბიოლოგიის დარგში პრემია მიენიჭა ორ ნაშრომს. ერთი მათგანია პროფესორ გ. ი. პოლიაკოვის გამოკვლევა, რომელიც ეხება ადამიანისა და ცხოველის ტვინის ნეირონულ ორგანიზაციას. ამ შრომაში განზოგადებულია ტვინის ფუნქციური სტრუქტურისა და ნეირონული კავშირის შესწავლის თითქმის 50 წლის გამოცდილება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიკური პრაქტიკისათვის ნეროპათოლოგიის, ნეიროქირურგიისა და ფსიქიატრიის დარგში. ცალკე, როგორც ელექტროდების მოლეკულური გენერატორების ახალი ფუნქციის ექსპერიმენტული დამტკიცებისათვის პრემია მიენიჭა ავტორთა ჯგუფს — ვ. პ. კულაჩოვს, ა. ა. ილიატისს და სხვა მეცნიერებს.

„ლენინგრადელ მუშათა ისტორია. 1703-1965 წლები“ — ისტორიკოსთა ეს კოლექტიური შრომა, რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა, მნიშვნელოვანი განმაზოგადებელი ხასიათის ნაკვლევია საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ამ ნაშრომში ლენინგრადის მუშათა კლასის ისტორია განხილულია მე-18 საუკუნის დამდეგიდან მე-20 საუკუნის სამოციანი წლების დამლევამდე.

თვალის დაავადებათა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტებს მ. მ. კრასნოვს, ტ. ი. ერომეევსკაია და ა. პ. ნესტეროვს სახელმწიფო პრემია მიენიჭა ფერადი კრისტალოგრაფიასა და კრისტალოქიმიაში, რომლებიც განახორციელა მეცნიერთა კოლექტივმა ი. ნ. ვენევცევის, ი. ს. ჟელუდევისა და სხვა ავტორთა შემადგენლობით. მათ შექმნეს მთელი რიგი ახალი მასალები (დაახლოებით 180), რომლებსაც აქვთ ახალი ტექნიკისათვის აუცილებელი თვისებები. შეიმუშავეს სამრეწველო მასშტაბით ამ მასალების მიღების მეთოდიკა.

ბიოლოგიის მეცნიერებას ორიგინალური კვლევა შემატა სპეციალისტთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში არიან დ. ს. კორჟინსკი, ვ. ა. ეარიკოვი და სხვები. მათ ახალი სიტყვა თქვეს მადაწყარამქმნის თეორიაში — შეიმუშავეს მინერალების ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ორიგინალური მეთოდები, რომლებიც ქანებისა და მინერალების საბადოების წარმოქმნის პირობების თვისებრივად ახალი შეფასების შესაძლებლობას იძლევიან.

ბიოლოგიის დარგში პრემია მიენიჭა ორ ნაშრომს. ერთი მათგანია პროფესორ გ. ი. პოლიაკოვის გამოკვლევა, რომელიც ეხება ადამიანისა და ცხოველის ტვინის ნეირონულ ორგანიზაციას. ამ შრომაში განზოგადებულია ტვინის ფუნქციური სტრუქტურისა და ნეირონული კავშირის შესწავლის თითქმის 50 წლის გამოცდილება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიკური პრაქტიკისათვის ნეროპათოლოგიის, ნეიროქირურგიისა და ფსიქიატრიის დარგში. ცალკე, როგორც ელექტროდების მოლეკულური გენერატორების ახალი ფუნქციის ექსპერიმენტული დამტკიცებისათვის პრემია მიენიჭა ავტორთა ჯგუფს — ვ. პ. კულაჩოვს, ა. ა. ილიატისს და სხვა მეცნიერებს.

„ლენინგრადელ მუშათა ისტორია. 1703-1965 წლები“ — ისტორიკოსთა ეს კოლექტიური შრომა, რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა, მნიშვნელოვანი განმაზოგადებელი ხასიათის ნაკვლევია საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ამ ნაშრომში ლენინგრადის მუშათა კლასის ისტორია განხილულია მე-18 საუკუნის დამდეგიდან მე-20 საუკუნის სამოციანი წლების დამლევამდე.

**თვალის დაავადებათა დარგის წყალობით ასეთივე შემცირებული „დანერგვის ციკლი“ დამახასიათებელია წლის ახალი ლაურეატების მუშაობისათვის, რომელიც დამთავრდა ფეთქებადუსაფრთხო ელექტროძრავების სერიის შექმნით.**

**მცურავი გაზტურბინიანი ელექტროსადგურების „ჩრდილოეთის ნათების“ შექმნისათვის პრემია მიენიჭა ავტორთა ჯგუფს, რომელშიც შედიან ა. ი. გოლოვინი, ი. ვ. ლეუხინი და სხვა სპეციალისტები. მათ პირველმა შექმნეს 20 ათასი კილოვატი სიმძლავრის მცურავი გაზტურბინიანი ელექტროსადგურები. ამჟამად მუშაობს სამი ასეთი სადგური მდინარეების კოლიმის, ლენისა და პეჩორის აუზებში. ამ დანადგარების მთავარი უპირატესობა მშენებლობის ვადების მნიშვნელოვანი შემცირება, ტრანსპორტირების შესაძლებლობა და გამონამუშევარი გაზების სითბოს გამოყენება ჩრდილოეთის ცალკეული რაიონების თბოფიკაციისათვის.**

**მოსკოვის ქარხანა „ქრომატრონის“ ინჟინერთა და მუშათა დიდ ჯგუფს პრემია მიენიჭა ფერადი კინესკოპების საწარმოო მოწყობილობის კომპლექსის შემუშავებისა და შექმნისათვის. შემუშავებულ კომპლექსში შედის 80 ერთეული სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობა, მათ შორის მანქანები ტექნიკურ-ქიმიური, საშემდუღებლო, ვაკუუმურ-თერმული, საამწყობო და საცდელი ოპერაციების ავტომატური შესრულებისათვის, აგრეთვე ავტომატიზებული ხაზები, მართული ელექტროენერგიის მანქანები. ეს კომპლექსი დაედო საფუძვლად ფერადი კინესკოპების საწარმოებს, რომლებიც შენდება და პროექტდება.**

**სამთო მრეწველობაში წლეულს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ავტორთა კოლექტივს დასავლეთ დონბასის ახალი ქვანახშირის საბადოს მაღაოფეტენციანი სამრეწველო ათვისებისათვის, რომელსაც განსაკუთრებით რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში ამუშავებენ. მეტალურგიულ მრეწველობაში ორაბანაზანიანი ფოლადსადნობი ღუმელების და ამ ღუმელებში ფოლადის გამოდნობის ტექნოლოგიის შექმნის, ათვისებისა და დანერგვისათვის მაგნიტოგორსკის კომბინატის, ჩერეფოვეცის ქარხნისა და ი. პ. ბარდინის სახელობის ფავი მეტალურგიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეტალურგთა ჯგუფს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.**

**საორტის მოყვარულთათვის ცნობილი მედეოს მაღალმთიანი კომპლექსი საბჭოთა სამშენებლო ტექნიკის დიდ მიღწევად ითვლება. მისმა დაძაბროექტებლებმა და შემქმნელებმა, რომლებსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭათ, შეალეს ნაგებობის მაღალი ტექნიკური მახასიათებლები შეუსაბამებისთან ინსამბლის კარგ არქიტექტურულ გადაწყვეტასთან, რომელიც ჰარმონიულად ეერწყვა თვალწარმტაც მთიან ландშაფტს.**

**მსუბუქი მრეწველობის დარგში პრემიით აღინიშნა სპეციალისტთა კოლექტივი, რომლებმაც სამედიცინო დანიშნულების ახალი საფეიქრო ნაწარმი შექმნეს და შეიმუშავეს მათი წარმოების ტექნოლოგია. სერიულ წარმოებაში დაინერგა ლავსანისა და ფეთრონლავსანის ხელოვნური მასალები, დაწყნული სისხლძარღვები, ლავსანის ახალი გასაკერი მასალა და სხვა ნაწარმი, რომლებსაც უკვე ფართოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის სამედიცინო პრაქტიკაში და გაიქვთ საზღვარგარეთ.**

**წლეულს სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ სახელმძღვანელოთა ავტორებს. ესენი არიან აკადემიკოსი ლ. ს. კონტრიაგინი („ზეულებრივი დიფერენციული განტოლებანი“), სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ი. სტრუჩკოვი („ზოგადი ქირურგია“). პირველად მიენიჭა პრემია საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმძღვანელოს: აღინიშნა ვ.-ი. თ. ბარკანის და ვ. კ. ქდანოვის სახელმძღვანელო „რადიომიმღები მოწყობილობანი“.**

**წლის ლაურეატთა შორის პირველად არის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა დიდი ჯგუფი, რომელსაც პრემია მიენიჭა დიდი შრომითი მიღწევებისათვის. ისინი პრემიის მოსაპოვებლად წარადგინეს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სწავლული მდივანი, პროფესორი.**

**Б. АРЧУАНИКОВИ,**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სწავლული მდივანი, პროფესორი.**

# მოწინავეთა გამოცდილება ზალზის კუთვნილებაა

...დიდი შრომითი მიღწევებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა დიდ რაზმს — 119 მუშას, კოლმეურნეს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს მიენიჭა 1975 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები. ლაურეატთა შორის არიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის წამყვანი დარგების აღიარებულ ოსტატები.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ მოვლენას ხვდებიან როგორც მშრომელ ადამიანებზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებას და ამისათვის დიდ მადლობას მოახსენებენ ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა რიგებს ახალი ღირსეული შეესვება შეუერთდა. ლაურეატმა მოწინავეებმა თავიანთი საქმეებით საყოველთაო-სახალხო დიდება და აღიარება მოიხვეჭეს, ისინი დიადი საყოველთაო-სახალხო მოძრაობის — „ვეხრე ხუთწლედის წარმატებათა დამთავრებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები და მედროშენი არიან.

წარშან ოთხასზე მეტმა „ათასიათა“ ბრიგადამ სახალხო მეურნეობას მისცა ქვანახშირისა და ფიქალის ათეული მიწისქვეშა მოპოვების მეოთხედზე მეტი. 1975 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ „ათასიანთა“ მოძრაობის ინიციატორთა და მოწინავეთა დიდ ჯგუფს, მათ შორის კუზბასელ ა. ტ. პოპოვსა და მ. ვ. კაჩესოვს, დონბასელ ვ. ი. ბენისენკოსა და ვ. ნ. კოლომიიცს, ყაზახეთელებს ო. ბ. იშნელსა და ს. ბაიმუსამეტოვს და სხვა ამხანაგებს, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს სამთო ტექნიკის გამოყენებაში.

ლაურეატთა სიაში ერთ-ერთი პირველი დასახელებულია სოციალისტური შრომის გმირი, № 111 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ნ. ა. ზლობინი — თაოსანი ბრიგადული სამეურნეო ანგარიშისა, რომლის მეოხებითაც 20 პროცენტით მცირდება მშენებლობის ვადები და 20-25 პროცენტით ზრდება შრომის ნაყოფიერება. ამ ბრიგადაში მუშაობს ახლა ათიათასიანი ბრიგადა. ნ. ა. ზლობინსა და მის მომდევრებს — სოციალისტური შრომის გმირს, ბურღვის ოსტატს ნ. ი. ბიჩალნიკოვს, მშენებელთა ბრიგადირებს ვ. ს. არტემენკოს, გ. ს. ზორინს და სხვებს პრემია მიენიჭათ მეურნეობრიობის ეფექტიანი მეთოდების დანერგვის საფუძველზე უდიდესი შრომითი მიღწევებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად მეწყობრში დგება ასობით ახალი დიდი სამრეწველო საწარმო. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საპრიგადო სიმძლავრეთა ათვისების დაჩქარებას. ამ ამოცანის გადაწყვეტის ნიშნად გვიჩვენებს მაგნიტოგორსკის ტეტალურგიული კომბინატის მარტენის საამქროს და კონდოპოგის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მუშაკების — ა. ნ. ბოგატოვის, ნ. ვ. იგინის, ი. ი. ბოიცოვის, ვ. ი. მოროზოვისა და სხვების შრომითი მიღწევები 1975 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

**სატრანსპორტო ტვირთზიდვის ეფექტიანობის ამაღლებაში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ლუბლინის სახარისხებელი სადგურის მუშაკებმა ვ. ნ. დონცოვმა, ნ. ნ. ხარატონოვმა, ვ. ნ. იაკუშინმა, შორეული აღმოსავლეთის სახელვაო სანაოსნოს მუშაკებმა ვ. ვ. კომონოვმა, თბომავალ „ბერეზნინაღლესის“ კაპიტანმა ვ. ნ. სახაროვმა და სხვებმა, რომლებსაც პრემია მიენიჭათ.**

**ლაურეატთა შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოების 36 მოწინავეა, რომლებმაც მარცვლეული, ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, ხილისა და კარტოფილის უსვი და მყარი მოსავალი მოიწიეს, გაადიდეს მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მთლიანი წარმოება. მათ შორის არიან სახელმხვეველი მექანიზატორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. ვ. გიტალოვი, სოციალისტური შრომის გმირები — კომბაინერი ვ. მ. ჩერდინცევი, ბრიგადირები კ. პ. ოვსიანკოვი. გ. ი. რიბაკოვა, ს. მ. ამრალიევი, ვ. ს. რუდენკო, მერგოლური პ. ა. ჟურავლკი, მწველავები მ. ს. გრომოვა, ლ. ა. პეიპსი, ნ. მ. კრივორუჩკო, მეფრინველე ვ. ვ. კოზინა, ღორის სუქების ოპერატორი ნ. ტ. მიროვსკი და სხვა ცნობილი ნოვატორები.**

**სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა მიღწევების სახალხო-სამეურნეო და სოციალურ მნიშვნელობას ძალიან შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. „ჩვენი სოციალისტური წყობილების ფასდაუდებელი კუთვნილება, მისი ძალის ერთ-ერთი წყაროა მოწინავეთა გამოცდილება, — თქვა მან. — ჩვენში ყველგან, ცენტრშიც და ადგილებზეც — მეურნეობრივად უნდა ეკიდებოდნენ ამ სიმდიდრეს, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა უფრო სრულად და ეფექტიანად იყენებდნენ მას ჩვენი საზოგადოების ინტერესებისათვის...“.**

**— ჩვენი ლაურეატების შრომითი მიღწევების დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ მათი განმეორება შეუძლია პრაქტიკულად ყოველ მუშას, კოლმეურნეს, სპეციალისტს. საბჭოთა მშრომელები ამაში ხედავენ მაგალითსა და ნიმუშს და მოქმედებენ წესით: ᲓᲦᲔᲡ — ᲜᲝᲛᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ, ᲮᲕᲐᲚ — ᲗᲘᲗᲝᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲣᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲐ.**

**საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი.**

# საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა ახალი რაზმი

**ᲣᲦᲜᲐᲠᲔᲑᲘ ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ნაწარმოებები და ნამუშევრები, რომლებსაც დიდი ჯილდოები ხდა ენიჭა, მსატვრული შემოქმედების სხვადასხვა დარგისა და ჟანრისა და ბევრი მოიშე რესპუბლიკის ოსტატებს ეკუთვნით.**

**ლიტერატურის დარგში ლაურეატობის ეწოდება დაამსახურა მკითხველთა შორის უკვე დიდი ხნის აღიარებულმა ნიჰიერმა რუსმა მწერალმა თევდორე აბრამოვმა ტრილოგიისათვის — „პრისლონები“, რომელშიც შედის რომანები „და-ძმანი“, „ორი ზამთარი და სამი ზაფხული“, „გზები და გზაჯვარედინები“. ეს წიგნები, რომელნიც ცხოვრების ღრმა ცოდნით გამოირჩევა, სოფლის ადამიანებს ეძღვნება.**

**სახელმწიფო პრემია მიენიჭა მოღვაწეთის უფროსი თაობის ერთ-ერთ უნიჭიერეს პოეტს — ანდრია ლუპასს ლექსების ციკლისათვის — „მაგისტრალები“ წიგნ „ჩემი ტვირთიდან“. დიდი ოსტატობით შექმნილი პოეტური ციკლი ქმნის დროისა და იმ სოციალური გარდაქმნების ბრწყინვალე მატიანეს, რომელიც მოხდა მოლდაველი ხალხის ცხოვრებაში.**

**პრემია მიენიჭა აგრეთვე უკრაინელმა პოეტმა ბორის ოლეინიკმა წიგნისათვის — „მიწაზე ვდგავარ“. ამ ხელოვანის შემოქმედება გამსჭვალულია ხალხური ბალადების ეღერადობით, თანამედროვეობის დიდი სამართლით.**

**საბავშვო ნაწარმოებთა შორის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა გაბრიელ ტროპოლსკის მოთხრობა „შავყურა თეთრი ბიმი“. ღრმა შინაარსით, მაღალი ჰუმანიზმის დიდი გრძნობით გამსჭვალული ნაწარმოები მკითხველს უღვიძებს სიკეთისა და სამართლიანობის გრძნობას.**

**მუსიკისა და საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის დარგში სახელმწიფო პრემია მიეიღო სსრ კავშირის სახალხო არტისტმა იური გულიავემ 1971-1973 წლების საკონცერტო პროგრამებისა და საოპერო პარტიებისათვის. მის მრავალფეროვან ნიჭს იცნობს უზარმაზარი აუდიტორია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.**

**საყოველთაო აღიარება ჰპოვა კომპოზიტორის, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ალექსანდრა პახმუტოვას შემოქმედებამ. მას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. განსაკუთრებით ბოლო წლებში შექმნილი მისი სიმღერები გამოირჩევა ფორმების, თემების, სიუჟეტების მრავალფეროვანი პალიტრით, გამსჭვალულია დიდი მოქალაქეობრივი გრძნობით.**

**სახელმწიფო პრემია მიენიჭა სომხეთის სახელმწიფო აკადემიური კაპელის მთავარ დირიჟორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, სომხეთის სსრ სახალხო არტისტს ოჰანეს ჩეკიჯიანს. ამ კოლექტივმა და მისმა ხელმძღვანელმა სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ფრთოვანი ნაწარმოებთა შესრულებით დიდ სიმაღლეზე აიყვანეს რუსეთის საგუნდო ხელოვნება და ამით სამართლიანად მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება.**

**თვალსაჩინო საბჭოთა ფერმწერმა და ეკონომმა მხატვარმა ტატიანა მავრინამ სახელმწიფო პრემია მიიღო რუსული ზღაპრების ილუსტრაციის ციკლისა და უძველესი რუსული ქალაქებისა და მშობლიური ბუნებისადმი მიძღვნილი დაზგური გრაფიკული ნერიისათვის — „ზღაპარი, სიმბოლო, სილამაზე“.**

**მხატვარ ვიქტორ პოპკოვის ფერწერული ციკლი — „ფიქრები ცხოვრებაზე“, რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა, ჩვენს თანამედროვეებს წარმოგვიდგენს. მისი სურათები ასახავს ავტორის მიერ ჩვენი დღეების მხატვრული რეალობის ძიებას.**

**სახელმწიფო პრემია მიენიჭა მხატვრების კუზნეცესების (მ. კუზნეცოვის, კ. კილოვოისა და ნ. სოკოლოვის) ნამუშევარს — ნ. ლუსკოვის წიგნის „ცაცის“ ილუსტრაციებსა და გაფორმებას. ეს მათი მრავალმხრივი შემოქმედების ნამდვილი გამოფენაა, კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოების შინაარსსა და სტილისტურ თავისებურებებში ღრმად ჩაწვდომის მაგალითია.**

**დიდი ჯილდოთი აღინიშნა სსრ კავშირის სახალხო არტისტის მიხეილ იანშინის მიერ მამაკაცის როლის შესრულება სპექტაკლში — „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, და აბელის როლისა — დადგმაში — „სოლო მრეკავი საათისათვის“. ამ მსახიობის ხელოვნება დიდად პოპულარულია და უყვართ მაყურებლებს.**

**სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა მსატვრული ფილმის — „განთიადი კი აქ წყნარი იცის“ — შემქმნელებს. ამ ფილმმა უდიდესი წარმატებით მოიარა მთელი მსოფლიოს ეკრანები.**

**პრემია მიიღო აგრეთვე დოკუმენტური ფილმების ავტორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, მეზნებარე პუბლიცისტმა რომან კარმენმა, რომლის ტრილოგია უღრმესი პატივისცემის გამოხატულებაა იმათდამი, ვინც ლათინური ამერიკის ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.**

**მოლიონობით თაყვანისმცემელი ჰყავს რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს ვალენტინა ლეონტიევას ცენტრალური ტელევიზიის გადაცემებში — „სულით და გულით“. თავისი ხელოვნებით იგი გასაოცარი ტაქტით ეხმარება ციხფერ ეკრანზე „ბავშვობანებში“ ჩვენს თანამედროვეებს, გვაცნობს მათ ფიქრებსა და საგმირო საქმეებს.**

**ქალაქ ტაშკენტის ცენტრის არქიტექტურული გადაწყვეტისათვის პრემია მიიღეს იმ არქიტექტორებმა, რომელთა ხელმძღვანელობით განხორციელებული ქალაქის ცენტრის განაშენიანება გვაოცებს თავისი მასშტაბით, თანასფიქრისა და მისი ხორცშესხმის ჰარმონიული მთლიანობით.**

**დიდი პრემია მიეკუთვნა აგრეთვე მოსკოვის ოლქის ზელენოგრადის არქიტექტურული კომპლექსების დამპროექტებელთა და მშენებელთა დიდ შემოქმედებითს კოლექტივს, რომელმაც დიდი ხელოვნებით კომპოზიციურად და სტრუქტურულად გააერთიანა ქალაქის მთელი განაშენიანება ერთიან გამომსახველ ანსამბლად, შეუსამეს იგი მოსკოვის ოლქის ბუნების თვალწარმტაც პეიზაჟს.**

**ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის დარგში სახელმწიფო პრემია მიენიჭა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბ. სუჩკოვის წიგნს „რეალიზმის ისტორიული ბედი“. მეცნიერის ეს შრომა დიდი წვლილია თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში.**

**ხელოვნებათმცოდნეობის დარგში სახელმწიფო პრემია მიენიჭა პროფესორ ნ. ტარასოვს მეცნიერული შრომისათვის — „კლასიკური ცეკვა. კაცთა საშემსრულებლო სკოლა“. წიგნი, რომელიც ცნობილი პალეტმაისტერისა და პედაგოგის მთელი შემოქმედებითი ცხოვრების ნაყოფია, შეეხება საბჭოთა საბალეტო ხელოვნების თეორიასა და პრაქტიკაში არსებულ ფუნდამენტურ გამოკვლევებს.**

**სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მიკუთვნება დამაჯერებლად ადასტურებს ახალ მიღწევებს მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში, დასტურებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამარჯვებას.**

**Б. ᲢᲘᲮᲝᲜᲝᲕᲘ,**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.**

## ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ

*10 ნოემბერი*

**ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ**

**საადგილო და უცხოეთის პრესის სააგენტოების იტყობინებიან**

*ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ*

### საკადრისი პასუხი რეაქციის ხრიკებს

**ᲓᲔᲚᲘ.** (საკადესი). ინდოეთის უმაღლესმა სასამართლომ განიხილა პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის აპელაცია ალაჰაბადის სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, რომელმაც საეჭვოდ გახადა პარლამენტის 1971 წლის არჩევნების შედეგები ოლქში, სადაც ინდირა განდიმ გაიმარჯვა. ეს გადაწყვეტილება მიღებულია მემარჯვენე ძალების ზეგავლენით ამა წლის 12 ივნისს, როცა მათ ცილისწამებისა და თავდასხმების კამპანია გაიჩაღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის პროგრესული კურსის წინააღმდეგ.

უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიის ხუთივე წევრმა უარყო ინდირა განდის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი და დაადასტურა პარლამენტის დეპუტატად მისი არჩევის კანონიერება.

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ინდოეთის საზოგადოებრიობამ იმის ახალ დადასტურებად მიიჩნია, რომ ჩაიშალა მემარჯვენე რეაქციული ძალების ცდები — რაღაც უნდა დაჯდომოდათ ხელი შეეშალათ ინდირა განდის მთავრობის მიერ პროგრესულ გარდაქმნათა განხორციელებისათვის.

დელის ათასობით მცხოვრები მივიდა პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასთან, რათა მხარდაჭერა აღეთქვა ინდირა განდისათვის.

# ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲖᲔ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** (საკადესი კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში (პოლიტიკურ საკითხთა და უშიშროების საკითხთა კომიტეტში) გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის განკუთვნილი სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივების მზარდი მოწონების ნიშნით გრძელდება განიარაღების პრობლემათა კომპლექსის განხილვა.

საბჭოთა კავშირის წინადადებებს მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა იარაღისა და ასეთი იარაღის ახალი სისტემების შემუშავებისა და წარმოების აკრძალვის და ატომური იარაღის გამოცდის საყოველთაო აკრძალვის შესახებ მხარს უჭერს კაცობრიობის უმრავლესობა, ნაზგასმით აღნიშნა მონგოლეთის წარმომადგენელმა დ. ერდემბილეგმა. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა მიესალმება ამ წინადადებებს და მიაჩნია, რომ მათი რეალიზაცია, ეჭვი არ არის, საშუალება მოგვცემს ავლაგმოთ გამალებული შეიარაღება, განვამტკიცოთ საერთაშორისო მშვიდობა და დაძაბულობის შენელების პროცესი. მონგოლეთი მიესალმება აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, თქვა დ. ერდემბილეგმა.

ავსტრალია მიესალმება ხელშეკრულების პროექტს ატომური იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ, რომელიც საბჭოთა და ამერიკელ ექსპერტებმა ერთობლივი დიფერენციული განტოლებანი“), სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ი. სტრუჩკოვი („ზოგადი ქირურგია“). პირველად მიენიჭა პრემია საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმძღვანელოს: აღინიშნა ვ.-ი. თ. ბარკანის და ვ. კ. ქდანოვის სახელმძღვანელო „რადიომიმღები მოწყობილობანი“.

წლის ლაურეატთა შორის პირველად არის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა დიდი ჯგუფი, რომელსაც პრემია მიენიჭა დიდი შრომითი მიღწევებისათვის. ისინი პრემიის მოსაპოვებლად წარადგინეს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

# ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ

## ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲖᲔ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** (საკადესი კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში (პოლიტიკურ საკითხთა და უშიშროების საკითხთა კომიტეტში) გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის განკუთვნილი სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივების მზარდი მოწონების ნიშნით გრძელდება განიარაღების პრობლემათა კომპლექსის განხილვა.

საბჭოთა კავშირის წინადადებებს მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა იარაღისა და ასეთი იარაღის ახალი სისტემების შემუშავებისა და წარმოების აკრძალვის და ატომური იარაღის გამოცდის საყოველთაო აკრძალვის შესახებ მხარს უჭერს კაცობრიობის უმრავლესობა, ნაზგასმით აღნიშნა მონგოლეთის წარმომადგენელმა დ. ერდემბილეგმა. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა მიესალმება ამ წინადადებებს და მიაჩნია, რომ მათი რეალიზაცია, ეჭვი არ არის, საშუალება მოგვცემს ავლაგმოთ გამალებული შეიარაღება, განვამტკიცოთ საერთაშორისო მშვიდობა და დაძაბულობის შენელების პროცესი. მონგოლეთი მიესალმება აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, თქვა დ. ერდემბილეგმა.

ავსტრალია მიესალმება ხელშეკრულების პროექტს ატომური იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ, თქვა ამ ბოლო დროს ავსტრალიის წარმომადგენელმა რ. ჰარიმ. მან თქვა აგრეთვე, რომ უატომო ზონების შექმნა არა მარტო ხელს შეუწყობს ცალკეული რეგიონების უშიშროების განმტკიცებას, არამედ აგრეთვე მთლიანად საერთაშორის

# ქართული კინო მოსკოვში

**გუშინ,** მოსკოვში, უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის სასახლეში დაიწყო ქართული კინოს დღეები ციკლიდან „ოქტომბრით შობილი კინოხელოვნება“, — რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდამეთხუთმეტე წლისთავს მიეძღვნა. ამ დიდი, კულტურული ფორმის ინიციატორები არიან საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უფლებიანი წარმომადგენლობა, უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოებასთან არსებული სტუდენტთა ინტერნაციონალური კინოკლუბი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერკლუბი, კინოსტუდია „ქართული ფილმი“, მოსკოვის კინოთეატრი „თბილისი“.

საქართველოს კინომუშაკთა დელეგაციაში, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კ. ბეჭვაია, არიან ცნობილი ქართველი კინორეჟისორები, მსახიობები, კინომცოდნენი.

პირველი კონფერენცია მიეძღვნა თემას — „საქართველოს კინოხელოვნება“. შეხვედრას თავმჯდომარეობდნენ ინდოელი დილიჩანდრა შარმა და ენგრელი იუდით შინკა. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა ს. კომაროვმა, მოხსენებით გამოვიდა კინომცოდნე ნ. კლეიმანი.

ქართული კინოს დღეები მოსკოვში უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის სასახლიდან სხვა დარბაზებში გაგრძელდება.

**დ. მაჭავარიანი,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ქ. მოსკოვი.



# ᲨᲔᲕᲔᲠᲓᲖᲔᲠᲘᲡᲐᲜ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ

**ᲕᲘᲠᲕᲔᲣᲚᲘᲐ** ამინდი აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე. ცა ხან უომრალი ღრუბლებით დაიფარება და თითქოს კოკისპირულ წვიმებს გადადარება აღარ უწერიაო, ხან უცებ მზე გამოაჭყიტებს, ლურჯად აკამკამდება ზღვა და კვლავ ხალხით გაივსება პლაჟები.

აჭარის პროფკავშირთა კურორტების მართვის საოლქო საბჭოს განკარგულებაშია ქობულეთის, მახინჯაურის, მწვანე კონცხის ორი სანატორიუმი, ექვსი დასასვენებელი სახლი, ექვსი პანსიონატი.

წლის მანძილზე აჭარის ჯანმრთელობის კერებში პროფკავშირული საგზურებით დაახლოებით 50 ათასი კაცი ისვენებს.

სრული დატვირთვით მუშაობენ ტურისტული ბაზებიც.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:** ზემოთ — მწვანე კონცხის ტურისტულ ბაზას გარს აკრავს მარადმწვანე მცენარეები; ქვემოთ — ბათუმის პლაჟზე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲘ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

**ნოემბერი** ხიცივეებით დაიწყო. უკვე მძლავრად ვიგრძენით ზამთრის სუნთქვა. ბევრ რაიონში თოვლი მოვიდა, ტემპერატურამაც საგრძნობლად დაიწია.

აი ეს მოვლენა როგორ ახასნა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში თბილისის ამინდის ბიუროს უფროსმა ინჟინერ-სინოპტიკოსმა ნ. ძამაშვილმა:

— პირველ ნოემბერს ევროპის ცენტრალურ რაიონებზე მდებარე ციკლონმა სწრაფად გადაინაცვლა აღმოსავლეთისაკენ. მისი ადგილი დაიკავა მძლავრმა ანტიციკლონმა, რომელმაც გავრცელება იწყო ამიერკავკასიის ტერიტორიისაკენ როგორც დასავლეთიდან, შავ-ზღვის, ისე აღმოსავლეთიდან, კასპიის ზღვის მხრიდან. ამ პროცესს საქართველოში ტემპერატურის მკვეთრი დაწევა და აღმოსავლეთ საქართველოში თოვა მოჰყვა.

ახალქალაქში, ბაკურიანში, მანგლისში, წალკაში, თიანეთში, ჯვრის უღელტეხილზე თოვლის საფარმა სამ-რვა სანტიმეტრს მიაღწია.

განსაკუთრებით შემოჰრა განხორციელდა 3-6 ნოემბრის დღეებში. ყველაზე დაბალი ტემპერატურაც 6 ნოემბერს იყო. მაგალითად, ამ დღეს დღისით გორში, მუხრანში, თბილისში, თელავში, გურჯაანში 4 გრადუსი სითბო იყო, მანგლისში — 2, წალკაში — 4 გრადუსი ყინვა აღინიშნა.

7 ნოემბრის ღამით თბილისში, გორში, მუხრანში ნული გრადუსი იყო, ცხინვალში — 2 გრადუსი ყინვა, ბორჯომში — 3, მანგლისში — 4, ახალქალაქში, წალკაში — 6, ახასთუმანში — 7, ბაკურიანში — 8 გრადუსი ყინვა.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იქ ტემპერატურის მკვეთრი დაწევა არ აღინიშნულა. მაგალითად, 5 ნოემბრის დაბლობ რაიონებში ღამით 4-7 გრადუსი სითბო იყო, დღისით — 10-12 გრადუსი სითბო.

7 ნოემბრს ნალექები ყველგან შეწყდა და ჰაერი თანდათანობით გათბა.

9 ნოემბრს, დღისით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 16-17, აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში კი 9-11 გრადუსი სითბო იყო.

გუშინ, 10 ნოემბრის დღის 12 საათზე თბილისში, გორში, ხაშურში, თელავში, ლაგოდეხში 8-9 გრადუსი, ცხინვალში, ზუგდიდში, გუდაუთაში, გაგრაში — 14-15 გრადუსი სითბო იყო.

მომდევნო ორ დღეს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში ზოგან მოსალოდნელია ნალექი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში ღამით 4-9, დღისით 13-18 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ნისლი და ნალექი, უმეტესად — აღმოსავლეთ რაიონებში.

ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით — 1-6, დღისით — 7-12 გრადუსი სითბო.

# მ ა ლ ე ტ ი რ ა ქ ი ა

**15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ** ხარკოვში გაიმართება 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი — სამოცდამეთხუთმეტე ტირაჟი.

სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემენახველი სალაროების გამგეობაში საკრესის კორესპონდენტს უთხრეს, რომ ტირაჟში სესხის ყოველ თანრიგზე გათამაშდება 512.560 მანეთის 9.400 მოგება. აქედან — 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40 მანეთი მოგებებია.

სესხის ობლიგაციებით მოგებათა შესაძლებლობა მატულობს ყოველ ტირაჟთან ერთად, რადგან ტირაჟებში გათამაშებულ მოგებათა რაოდენობა უცვლელი რჩება სესხის ვადის გასვლამდე, მოგებული ობლიგაციები კი იფარება გაცემისას და შემდგომ ტირაჟებში არ მონაწილეობს.

წლის დამლევამდე სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის ერთი ტირაჟიც გაიმართება. იგი მოსკოვში მოეწყობა 30 დეკემბერს.

**ᲡᲐᲡᲚᲘᲡᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ**

# ᲡᲐᲥᲕᲔᲑᲗᲐ ᲓᲐᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲔᲑᲘ

**ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ** აგდამის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგემოლარე ა. იბრაგიმოვი, ეელაბის პურის მიმღები საწარმოს მთავარი ბუღალტერი რ. გეზალოვი და მოახგარიმე ბუღალტერი ჩ. ალიევი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და დიდად სახელმწიფო სახსრებს იტაცებდნენ. იბრაგიმოვი ლიმიტით კოლმეურნეობისათვის საწყობიდან მიღებული კომბინრებული საკვებისა და ხორბლის უწყისებში არ უჩვენებდა მათს რაოდენობას, გეზალოვი სანქციას აძლევდა ულიმიტოდ გამეებას, ალიევი კი აფორმებდა ყალბ საბუთებს კოლმეურნეობიდან ფულის მიღების შესახებ, რაც სინამდვილეში არ ყოფილა. დანაშაულებრივი მაქინაციების შედეგად დამტაცებლებმა 275 ტონაზე მეტი კომბინირებული საკვები და თითქმის 22 ათასი მანეთის 27 ტონა ხორბალი მითვისეს.

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესმა სასამართლომ გეზალოვსა და იბრაგიმოვს თერთმეტ-თერთმეტი წლის, ალიევს — 10 წლის პატიმრობა მიუსაჯა და დაადგინა ეელახის საწარმოს სასარგებლოდ გადაიხადონ დატაცებული საქონლის მთელი ღირებულება.

სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ, რომელმაც ზედამხედველობის წესით განიხილა ეს საქმე, არ დაამტკიცა ფინელი ავტორთა ბიოგრაფიული საძიებელი.

□

# „ᲡᲐᲣᲜᲯᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲒᲝᲑᲗ

მკითხველმა მიიღო მსოფლიო ლიტერატურის ორთიერთ ალმანახ „საუნჯის“ (მთავარი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე) მორიგი, მეხუთე (სეკტემბერ-ოქტომბერი) ნომერი.

ალმანახის პროზის და პოეზიის განყოფილებები ბევრ საინტერესო ნაწარმოებს გვთავაზობს: აქ დაბეჭდილია მუზილის მოთხრობა „გრიჯია“ (გერმანულიდან თარგმნა თ. პატარაიამ), ხულიო ტრავიესოს რომანის „სანამ მგელს მოპკლავდნენ“ დასასრული (ესპანურიდან თარგმნეს ზ. აბაშიძემ და გ. ბიჭიაშვილმა), ზოია ვოსკრესენსკაიას მოთხრობა „გოგონა ბობოქარ ზღვაში“ (თარგმნელი ნ. თოფჩიშვილი), ა. ადამოვის მოთხრობის „ორმაგი მარყუჟი“ დასასრული (ე. მაღრაძის თარგმანი); პოეზიის მოყვარულნი გაეცნობიან რუმინელი პოეტის დუმიტრუ მ. იონის, ა. ტკარდოვსკის, ვ. სიმონოვის, ჩინელი პოეტების ლეკსებს, რომლებიც თარგმნეს მ. ფიცხიშვილმა, ე. კერძევაძემ, ჯ. ფხოველმა. აქვე გაეცნობით სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ლ. გუდიაშვილის ნახატების რეპროდუქციებს.

ალმანახის კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში გამოქვეყნებულია ჯავაჰარლალ ნერუს „უანიშადები“ (თარგმნა თ. ჩხენკელმა), ანა ახმატოვას „მოგონებები ბლოკზე“ (თარგმნა ე. ბუაჩიძემ), საუბრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

გარდა ამისა ალმანახში რუბრიკებით— „სხვადასხვა ამბები“, „ფერადი ამბავები“, „ერთხელ“ — დაბეჭდილია ქრონიკები, ცნობები ლიტერატურულ სიახლეთა შესახებ. ალმანახს აქვს ნომერში დაბეჭდილ ავტორთა ბიოგრაფიული საძიებელი.

□

# სამართლებრივი ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

**ᲓᲘᲓᲘ** ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის თბილისის მეტროპოლიტენთან შეიქმნა რესპუბლიკის ტრანსპორტზე პირველი სამართლებრივი ცოდნის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში მეცადინეობენ მეტროპოლიტენის, თბილისის სამგზავრო სადგურის, ტექნიკური დათვალიერების პუნქტისა და ამიერკავკასიის რკინიგზის სხვა საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

უნივერსიტეტის ლექტორებად დამტკიცებული არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვალსაჩინო მეცნიერები, ავრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

უნივერსიტეტის პირველ მეცადინეობაზე წაკითხული იყო ლექციები თემებზე: „სსრ კავშირის კონსტიტუცია — საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონი“, „ვ. ი. ლენინი და საბჭოთა პროკურატურა“, „სკკპ XXIV ყრილობა საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების შემდგომი განმტკიცების შესახებ“. (საქინფორმი).



# 4 ᲥᲣᲚᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲝᲑᲘᲗ

**გადადებული** პარტიის [illegible] ლებისას ნ. ალექსანდრიას [illegible] ვები) დაიბრუნა პაიკი და ალდგინა მატერიალური თანაფარდობა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა შეძლო ლაზიერებისა და თითო მსუბუქი ფიგურის გაცვლა და უკეთესი ენდშპილის მიღება. ორივე მხარეს ჰქონდა გამსვლელი პაიკები, მაგრამ თეთრების იტლი და კუ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე შავების იტლი და მხედარი. ამიტომ მათ შეძლეს თავიანთი პოზიციური უპირატესობის რეალიზება.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა [illegible]

მატჩის მერვე პარტია 9 ნოემბერს არ შედგა ალექსანდრიას ავადმყოფობის გამო. იგი დღეს, 11 ნოემბერს გაიმართება. თეთრებით პრეტენდენტი თამაშობს.

ი ი მეშვიდე პარტიის დამთავრება:

41.... ე:a2 42. ლ:g3 ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘ f:g3 43. ეf8 მფg7 44. ეa8 ეe6 45. კ:d3 ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘ de2+ 46. მფf1 მg3+ 47. მფe1 ეe2+ 48. მფd1 ე:e3 49. კ:e6 ე:c3 50. d5 ეd3+ 51. მფe1 c3 52. ეc8 a4 53. d6 a3 54. კb3 მf5 55. ეc7+ მფh6 56. d7 a2 57. კ:a2 c2 58. e6 შავები დანებდნენ.

# ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

**კიევი,** 10 ნოემბერი. (საკრესის კორ.). როგორც ვიცით, 12 ნოემბერს უკრაინის დედაქალაქში გაიმართება ევროპის ფეხბურთელთა ჩემპიონატის მეექვსე ჯგუფში მონაწილე — სსრ კავშირისა და შვეიცარიის ნაკრები გუნდების გადამწყვეტი შესარჩევი მატჩი. ამ მატჩისათვის, რომელიც 19.00 — საათზე დაიწყება (მაესტრანსლაციას აპირებს ცენტრალური ტელევიზია), სრული შემადგენლობით ემზადებიან კიევის დინამოელები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდში მიწვეული ფეხბურთელები: მეკარეები პროხოროვი („სპარტაკი“), ანტაპოვსკი (ცსკა), მცველები — ზეაგინცევი („შახტიორი“), ლოგინოვი („სპარტაკი“), ნახევარმცველი სახაროვი („ტორპედო“) და თავდამსხმელი ფიოდოროვი („პახტაკორი“).

მატჩის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გუნდისათვის. გამარჯვების შემთხვევაში სსრ კავშირის ნაკრები თავისი უკანასკნელი მატჩის — თურქეთის გუნდთან 23 ნოემბერს, მეტოქის მოედანზე — შედეგის მიუხედავად ევროპის პირველობის მეოთხედფინალში გავა.

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ** # ᲓᲐᲠᲩᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე მხოლოდ ერთი შეხვედრა დარჩა — 16 ნოემბერს — კიევის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“. ამ მატჩის შედეგს სატურნირო ცხრილში ადგილების განაწილებისათვის პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ბოლო, 30-ე ტური კი, რომელიც 8 და 9 ნოემბერს გაიმართა, ასეთი შედეგებით დამთავრდა:

„დინამო“ კ. — „სპარტაკი“ — 3:1
„პახტაკორი“ — „დინამო“ მ. — 0:2
„ზენიტი“ — „დნეპრი“ — 0:0
„შახტიორი“ — „არარატი“ — 3:0
„ძარპატი“ — ცსკა — 2:0
„ლოკომოტივი“ — „ჩერნომორეცი“ — 2:2
სკა — „ზარია“ — 0:1

## ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა
მდგომარეობა 11 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ კ. | 29 | 16 | 9 | 4 | 50-30 | 41 |
| „შახტიორი“ | 30 | 15 | 8 | 7 | 45-28 | 38 |
| „დინამო“ მ. | 30 | 13 | 12 | 5 | 39-23 | 38 |
| „ტორპედო“ | 29 | 13 | 8 | 8 | 42-30 | 34 |
| „არარატი“ | 30 | 15 | 4 | 11 | 40-38 | 34 |
| „ძარპატი“ | 30 | 11 | 10 | 9 | 36-28 | 32 |
| „დნეპრი“ | 30 | 10 | 11 | 9 | 33-30 | 31 |
| „დინამო“ თბ. | 30 | 11 | 9 | 10 | 32-32 | 31 |
| „ზარია“ | 30 | 10 | 11 | 9 | 32-37 | 31 |
| „სპარტაკი“ | 30 | 9 | 10 | 11 | 27-30 | 28 |
| „ლოკომოტივი“ | 30 | 7 | 12 | 11 | 28-33 | 26 |
| „ჩერნომორეცი“ | 30 | 8 | 10 | 12 | 27-35 | 26 |
| ცსკა | 30 | 6 | 13 | 11 | 29-36 | 25 |
| „ზენიტი“ | 30 | 7 | 10 | 13 | 27-42 | 24 |
| „პახტაკორი“ | 30 | 8 | 7 | 15 | 31-44 | 23 |
| სკა | 30 | 4 | 8 | 18 | 23-50 | 16 |

# ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

**ᲕᲘᲓᲐᲛᲑᲐ.** ქ. ჩკალოვსკში (ტაჯიკეთის სსრ) დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში დიდი სამამულო ომის მონაწილის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ს. ურუნხოჯაევის პრიზზე. წარმატებით გამოვიდნენ ქართველი მოსწავლეები: თბილისელებმა ზაზა ნაზღაიძემ (45 კგ), ზაურ ლობიშვილმა (52 კგ), დათო აფციაურმა (75 კგ), რამაზ კანთელაძემ (მძიმე წონა) და ქუთაისელმა ტარიელ ფოცხვერიამ (70 კგ) პირველი ადგილები დაიკავეს, ხოლო ცსკაიელმა დათო ლაბარაძემ (56 კგ) და ქუთაისელმა ნუგზარ შალამბერიძემ (60 კგ) — მეორე ადგილზე. ტურნირზე დაწესებული ხუთი პრიზიდან სამი ჩვენს მოსწავლეებს ერგოთ.

**ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲘ.** სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი განაგრძობს ამხანაგურ ტურნეს აშშ-ში. ქალაქ დეიტონში (ოგაიოს შტატი) ჩვენმა კალათბურთელებმა მოუგეს ამ ქალაქის უნივერსიტეტის ნაკრებს — 84:71 (38:40).

„პრაღის დიდი პრიზი“ — ასე ეწოდებოდა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გამართულ ქალთა გუნდების ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს. მოსკოვის ნაკრებმა მოიგო, ყველა მაჩარ და პირველობა მოიპოვა. ტურნირის საუკეთესო ნხალიბრმა მოსკოველმა სუხარნოვამ თავის გუნდს 80 ქულა შესძინა.

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** ტაშკენტში გაიმართა დამატებითი მატჩი პირმის „ზვეზდასა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშს“ შორის, რომლებმაც, როგორც ცნობილია, ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაროვეს (32 თვითეულმა) და პირველ ლიგაში დარჩენისათვის იბრძოდნენ. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს პირმელებმა და შეინარჩუნეს უფლება კვლავ თავიანთ ჯგუფში ითამაშონ, სვერდლოვსკელები კი ვალად მეორე ლიგაში გამოვლენ.

რიგაში მიმდინარეობს ფეხბურთელთა ზონალური ტურნირი პირველ ლიგის საგზურების მოპოვებისათვის, რომელშიც გამოდის ლაჩჩუთის „ბურრიაც“. ლაჩჩუთელებმა უკვე ორ მატჩი გამართეს და ორივე ფრედ დამთავრეს — ელადიმირის „ტორპედოსთან“ (0:0) და ჟიტომირის „ოქტომბერსტანთან“ (1:1). ექვსთა ტურნირს ლიდერობს რიგის „დაუგავა“, რომელმაც ორივე მატჩი მოიგო. დღეს „ბურრია“ ასპარეზობს ბლაგოვეშჩენსკის „ამურთან“.






















ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑ